



## მთავრობა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმაზე მუშაობს, გახდება თუ არა ის ჰესების ალტერნატივა, როგორია ევროპული გამოცდილება

access\_time 2018-04-02 10:30:44

რა მნიშვნელობა აქვს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას საქართველოს ეკონომიკისთვის? შესაძლებელია თუ არა ჰესების აშენების გარეშე ეკონომიკის ზრდა და რა პოტენციალი აქვს საქართველოს ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით? „კომერსანტი“ ამ და სხვა დეტალების გასარკვევად ორი მხარის პოზიციას გაეცნო. ერთი მხრივ, ენერგეტიკის სამინისტრო და მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“.

როგორც ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსი დავით შარიქაძე „კომერსანტთან“ განმარტავს, ელექტროენერჯის გარეშე ზოგადად წარმოება ვერ განვითარდება. მისი თქმით, ცალკეულ ქვეყნებს სხვადასხვა რესურსი აქვთ, საქართველოს შემთხვევაში კი დიდი პოტენციალი ჰიდროელექტრო სადგურებშია.

„ენერგეტიკა ეს არის ეკონომიკის ხერხემალი და ელექტროენერჯის წარმოება უნდა უსწრებდეს ეკონომიკის ზრდას, რათა იყოს რეზერვი და ახალ-ახალი სიმძლავრეები მოხმარების კუთხით დაკმაყოფილდეს. ზოგადად ელექტროენერჯის გარეშე საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია. ჩვენ გვაქვს

ჰიდრორესურსი, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. ამიტომაც, ეკონომიკის ზრდას ჰესების აშენების გარეშე ვერ მივაღწევთ“,-განმარტავს შარიქაძე.

მისივე თქმით, ჰესების აშენება რომ აუცილებელია, ამას ადასტურებს ევროპაში არსებული ვითარებაც. როგორც დავით შარიქაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, მაგალითად შვეიცარიაში ჰიდრორესურსების 80 % ათვისებულია, თითქმის იგივე მაჩვენებელია ნორვეგიაში, იტალიასა და ავსტრიაშიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყნის მიერ საკუთარი ჰიდრო რესურსის გამოყენების აუცილებლობას.

„კომერსანტი“ დაინტერესდა ქვეყანაში ენერგოეფექტურობის განვითარების პერსპექტივითაც და როგორც ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, ამ კუთხითაც შესაძლებელია განვითარება.

„რა თქმა უნდა, ენერგოეფექტურობის ათვისებაც მნიშვნელოვანია და ჰესების აშენების პარალელურად ამასაც უნდა მივხედოთ. სწორედ ამიტომ, ევროკავშირთან ერთად ჩვენ შევიშუშავებთ დოკუმენტს, ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმას, რომელიც უახლოეს მომავალში სამთავრობო დონეზეც განიხილება და დამტკიცდება. დოკუმენტში ხაზგასმულია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგრამა. ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით, მაგალითად შესაძლებელია ეკონომიური ნათურების, საყოფაცხოვრებო მონყობილობების განვითარება და ა.შ. ეს ყველაფერი ერთად არის ეკონომიკის ზრდის გარანტორი“,- განმარტავს შარიქაძე.

საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწავნე ალტერნატივის“ წარმომადგენელს დავით ჭიპაშვილს, რომელმაც ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. რაც შეეხება დოკუმენტს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის შესახებ, დავით ჭიპაშვილს ეჭვი მის ვალიდურობაშიც ეპარება.

„ეს დოკუმენტი ჯერ არ გასაჯაროებულა, თუმცა დღევანდელი მოვლენების ფონზე საეჭვოა მას რაიმე ღირებულება გააჩნდეს. რაც შეეხება ზოგადად ჰესების აშენებას და მის მნიშვნელობას ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით, აქ საერთოდ გაუგებარია მთავრობის დამოკიდებულება. ჩვენ ვაშენებთ ჰესებს მაშინ, როცა იგივე ევროკავშირის ქვეყნებში მშპ იზრდება ენერგომომხმარების კლების პარალელურად. ეს კი ენერგოეფექტურობის ზრდის შედეგია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ნორვეგიაში, შვეიცარიაში და იტალიაში ჰიდრორესურსები ათვისებულია, ეს 1990

წლამდე მოხდა, როცა გარემოზე ზიანის მიყენების თვალსაზრისით საზოგადოების ცნობიერება იყო დაბალი. ამ ყველაფრის გამო, ის არგუმენტი, რომ ჰესების აშენება არის ეკონომიკის ზრდის გარანტორი, არის მითი“,-განმარტავს ჭიპაშვილი.

მისივე თქმით, საქართველოს ენერგეტიკის 80 პროცენტი არის ჰიდრორესურსები, რის გამოც ბამთარში ქვეყანა ენერჯის დეფიციტს განიცდის. კერძოდ, ბამთრის პერიოდში მდინარეებში არის წყალმცირობა, ხოლო დანარჩენ სეზონზე წყალუხვობა. როგორც დავით ჭიპაშვილი განმარტავს ყველაზე საჭირო დროს ქვეყანას ენერჯის პრობლემა ექმნება, რაც პარადოქსია.

„მაშინ, როცა ბამთარში გვჭირდება მეტი ენერჯია, გვექმნება პრობლემა და ასეთ დროს ისევ საუბარია ენერგეტიკის განვითარებაზე. იქნებ გამოსავალი განახლებად ენერჯიებშია?! ვგულისხმობ ქარისა და მზის ენერჯიებს. ამიტომ საკითხის სიღმისეული შესწავლის გარეშე ასე ქაოტურად ჰესების აშენება არის არასწორი. ამასთან, ჩვენ გვაქვს ცენტრალიზებული ენერგოსისტემა, ანუ ნებისმიერი ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერჯია უკავშირდება ცენტრალურ სისტემას, რაც წარმოშობს დანაკარგებს და ენერჯიის არაეფექტურ მოხმარებას. მსგავსი მიდგომა საბჭოური გადმონაშთია და უნდა მოხდეს მისი დეცენტრალიზაცია. საერთოდ, არავინ საუბრობს რა ფასი გვიჯდება ჩვენ ამ ჰიდროპოტენციალის ათვისება, მართლაც არის ეს იაფი ენერჯიის წყარო თუ არა?! იქნებ მზისა და ქარის ენერჯია ბევრად უფრო იაფი დაჯდება?! სანამ ამ კითხვებს პასუხი არ გაეცემა, მანამდე ყველაფერი საეჭვოა“,-განმარტავს ჭიპაშვილი.

ავტორი : სალომე ლემონჯავა